პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 3 მარტი 1926 წ.

წელიწადი მეექვსე

ფასი 3 კ.

# წითელი არმიელი

46 (1041) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხ. ფასი პირ. გვ. 80 კ. სტ. 4 გვ. 40 კ.

## განვამტკიცოდ ურთი-ერთ კავშირი.

ცვალებად წითელ არმიელთა პირველი მოკლევადიან შეკრება უკვე ჩატარდა დამაკმაყოფილებლად. ამ თვის განმავლობაში უნდა დასრულდეს დანარჩენი შეკრებებიც, ე. ი. მეორე, მესამე და მეოთხე.

ამ წერილში ჩვენ გვსურს ვისარგებლოთ ამ შეკრებებით და ცვალებად წითელ არმიელებს მოვაგონოთ იმ კავშირის შესახებ, რომელიც უნდა არსებობდეს ჩვენს გაზეთსა და მათ შორის.

როგორც ვიცით ცვალებად წითელ არმიელები მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი თვით, ან ცოტა მეტით გამოდიან საერთო შეკრებაზე. დანარჩენი თვეების განმავლობაში ისინი იმყოფებიან თავთავიანთ სახლებში და ეწევიან ყოველდღიურ მუშაობას. სწორეთ ამ ხანებში, ე. ი. შეკრებათა შორის, თითეული ცვალებადელის მთავარი ამოცანაა მუდამ ახსოვდეს, რომ ის არის წითელი არმიელი, რომელიც იმავე დროს ვალდებულია დიდი ყურადღება მიაქციოს და კიდევ უფრო გააუმჯობესოს თავისი ცოდნა სამხედრო და პოლიტიკურ დარგში. ასეთი ცოდნით შეიარაღებულ თითეულმა ცვალებად წითელ არმიელმა უნდა უზრუნველჰყოს ნაწილების სამხედრო მომზადება და წითელი არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება.

გარდა ამისა თითეული ცვალებადელი წ.-მოლაშქრე მოვალეთ უნდა სთვლიდეს თავის თავს, რომ იქონიოს მუდმივი და მტკიცე კავშირი ჩვენს გაზეთთან. მას უნდა ახსოვდეს, რომ ჩვენი გაზეთი მისი საუკეთესო მეგობარია და ყოველთვის დაეხმარება მას საჭირ-ბოროტო საკითხების მოგვარებასა და სამხედრო-პოლიტიკური ცოდნის შეძენის საქმეში. ამასთანავე ერთად ჩვენი გაზეთი ფართოდ გააშუქებს თავის ფურცლებზე ყველა იმ საქმიანობას, რომელსაც ეწევიან ადგილებზე ჩვენი ცვალებადელები.

მხოლოდ ყოველივე ამისათვის კი საჭირო იქნება ცვალებადელთა ჩვენთან მჭიდროდ დაკავშირება, თანამშრომლობა ჩვენს გაზეთში და უკანასკნელის გავრცელება სოფლად და ქალაქად, მუშურ-გლეხურ ფართო მასებში.

როგორც ვსთქვით მოკლევადიანი შეკრებები უკვე ტარდება ადგილებზე დანიშნულ დროს.

ადგილებზე მომუშავე ამხ-ბის მოვალეობა იქნება არ დაივიწყონ ცვალებად წითელ არმიელების ჩვენს გაზეთთან დაკავშირების ამოცანებიც, ფართოდ განუმარტონ მათ, განსაკუთრებით 1903 წელში დაბადებულ ცვალებად წითელ არმიელებს, თუ რა უნდა გააკეთონ იმათმა შეკრების დროს და სახლებში დაბრუნების შემდეგ—შეკრებათა შორის, ჩვენს გაზეთთან დაკავშირებისა და იქ თანამშრომლობისათვის. საიჩკორ-ორგანიზატორებმა და სამხკორებმა კი თავიანთი მხრით უნდა მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ მომავალში მაინც გამოსწორდეს და განმტკიცდეს ცვალებად წითელ არმიელთა ჩვენს გაზეთთან დაკავშირების საქმე.

ცვალებად წითელ არმიელებო და ტერ-ნაწილების სახკორებო! გახსოვდეთ, რომ თქვენი კავშირი ჩვენს გაზეთ „წითელ არმიელთან“ აუცილებელი და მთავარი ამოცანაა.

## სამხედრო ცოდნით აღჭურვილი შევხვდებით მტერს

8 მარტს გაიხსნება ს.ს.რ.კ-ს სამხ. სამეცნ. საზ-ბის 1-ლი საკავშირო ყრილობა. ეს ყრილობა იქნება სრული ზეიმი ჩვენი მუშურ-გლეხური საზოგადოებრივობისა, რომელმაც დიდი მოწადინება სამხედრო მეცნიერება და აიძულა ის სამსახური გაუწიოს მუშებისა და გლეხების ინტერესებს. ეს საზოგადოება დახმარებას უწევს საბჭოთა ძალაუფლების ყველა ორგანოებს ოქტომბრის მონაპოვართა განმტკიცებისა და ქვეყნის თავდაცვის მომზადების საქმეში.

ჩვენ ბევრი მტერი გვყავს. ჩვენ მოგვიხდება დიდი საზოგადოებრივ ღონისძიებათა დახარჯვა, რათა სათანადოთ მოვემზადოთ და პასუხი გავცეთ მათ, ვინც გაჰბედავს და შეეცდება დაარღვიოს ჩვენი მშვიდობიანი შრომა.

თუ გსურს მშვიდობიანობა, ემზადე თავდაცვისათვის. ეს კი მოითხოვს საბჭოთა კავშირის თვითეული მშრომელისაგან მომავალი ომის ხასიათის და იმ პირობების გაგებას, რომლებშიაც ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა.

მომავალ ომში არ იქნება ზურგი, რომელიც განირჩეოდეს ბრძოლის ხაზისაგან. საჰაერო ფლოტი და ქიმიური აირები სპობენ საზღვარს ზურგსა და ფრონტს შორის. აი, რატომ უნდა იცოდეს ჩვენი კავშირის თვითეულმა წევრმა სამხედრო საქმე და შეეძლოს საჭიროების დროს დაეხმაროს თავის ხელისუფლებასა და წითელ არმიას.

მარტო თანაგრძნობა არ კმარა. ყველამ უნდა დაიკავოს განსაზღვრული ადგილი საბრძოლო წერტზე-სოფლად იქნება ის თუ ქალაქად.

სამხ. სამეცნიერო საზ-ბის პირველმა საკავშირო ყრილობამ უნდა დასახოს გზები, თუ როგორ მეცნიერულად უნდა იქნას დაყენებული კავშირის თავდაცვის საქმე და როგორ სწარმოებდეს თვითმომზადება და თვითგანვითარება საზოგადოების შიგნით.

ეს ამოცანები მოითხოვენ მიზიდულ იქნან საზოგადოებაში სამოქალაქო მეცნიერების მუშაკნი, ადმინისტრატორები, ტეხნიკოსები, კვალიფიციური მუშები, მოსწავლეები და მთელი მუშურ-გლეხური აქტივი.

ამ ამოცანებთან ერთად ყრილობა განიხილავს საკითხებს სამხედრო ცოდნის პროპაგანდის ფართოდ დაყენების შესახებ მოსახლეობის შორის. თვითეულს უნდა შეეძლოს შეაფასოს თავისი მუშაობა სამხედრო თვალსაზრისით.

ომის დაწყებით მთელი მეურნეობა, კავშირის მთელი ცხოვრება გადავა მშვიდობიან მდგომარეობიდან საომარ მდგომარეობაზე.

სამხ. სამეცნ. საზოგადოება ემსახურება მშვიდობიანობის მიზნებს. სამხ. სამეც. საზ-ბის ყრილობის სახით ჩვენი მუშურ-გლეხური საზოგადოება ხმამაღლა განაცხადებს, რომ ის მზადაა საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად შეხვდეს მტერს სამხედრო ცოდნითა და საბრძოლო მზადებით აღჭურვილი.

ს. მ.

## ახალი რადიო ამბები

### საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენისათვის.

ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა თავის მოხსენებაში აღნიშნა ის დიდი პოლიტიკური ინტერესი, რომელსაც წარმოადგენს ნორმალური ურთიერთობის განახლება საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ ევროპას შორის. მოხსენების მიხედვით ბელგიის მინისტრი ფიქრობს გაარჩიოს საბჭოთა მთავრობასთან ერთად მომავალი ეკონომიური შეთანხმების საკითხები.

### ბრძოლის ლიგა ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

შანხაიში გაიმართა საზოგადოებრივ ორგანიზაციებისა და პროფკავშირების კონფერენცია. კონფერენციამ დაადგინა მოაწყოს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ლიგა (კავშირი).

ლიგაში შეყვანილ უნდა იქნას მოსახლეობის ყველა კლასები.

### 1-ლი სახალხო არმია შეტევაზე გადავიდა

პირველ სახალხო არმიამ დაიწყო შეტევა ლი ჩ ნ ლინის წინააღმდეგ ტიან-ცზინიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

ჩინურ გაზეთების ცნობით პროვინცია ხუ-ბოი გარშემორტყმულია უ პეი-ფუს მოწინააღმდეგე ჯარები.

### რიფები იღებენ ბრძოლის ინიციატივას.

როგორც რაბატიდან გადმოგვცემენ, რიფები აპირებენ ხელში ჩაიგდონ ის ადგილები, რომლებიც მათ მთავარი წინააღმდეგობით უქადიან.

### მაკდონალდი ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ.

ერთ მიტინგზე ინგლისის ყოფილ მუშათა მთავრობის თავმჯდომარე მაკდონალდი გამოვიდა ლოიდ-ჯორჯის წინააღმდეგ.

მან სასტიკად გააკრიტიკა ლოიდ-ჯორჯი, დაცინვით მოიხსენია ლიბერალები და განაცხადა, რომ ერთად ერთი საერთო ლიბერალებსა და მუშათა პარტიას აქვს რწმენა იმაში, რომ ლიბერალურ პარტიის დღიები დათვლილია.

### კომუნისტების დაპატიმრება ეგვიპტეში

რეიტერის სააგენტოს ცნობით კაიროში პოლიციამ დააპატიმრა რამოდენიმე უცხოელი კომუნისტი, რომლებიც იგზავნებიან ეგვიპტის საზღვრებიდან.

## საბჭოთა კავშირში

### სრულიად ბელორუსიის პოლონელ გლეხთა ყრილობა

#### მშრომელი თავისუფალია მხოლოდ სსრკ-ში

გაიხსნა სრულიად ბელორუსიის პოლონელ გლეხთა პირველი ყრილობა.

პოლონელი-გლეხი დელეგატები აღნიშნავდენ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მათ მიიღეს სრული თავისუფლება, მიწა, აქვთ საკუთარი ეროვნული საბჭოები, სასამართლოს კამერები, სკოლები და ქოხ სამკითხველოები. მხოლოდ დღეს იგრძნეს პოლონელ გლეხებმა, რომ ისინი არიან თავისუფალი ბელორუსიის თანასწორ უფლებიანი მოქალაქეები.

### საბინაო კოოპერაციის რწმუნებულთა კრება

მოსკოვში გაიხსნა სრულიად რუსეთის საბინაო კოოპერაციის რწმუნებულთა კრება.

ცენტრალურ კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ლარინმა გააკეთა მოხსენება საბინაო კოოპერაციის მდგომარეობის შესახებ. კოოპერაციას მიუზიდავს 6 მილიონი კაცი, ე. ი. მთელი ქალაქის მოსახლეობის ერთი მეოთხედი.

### 1-ლი საგლეხო სესხის მე-7 და მე-8 ტირაჟი

პირველ მარტს დაწყებულ იქნა პირველი საგლეხო სესხის მეშვიდე და მერვე ტირაჟის გამოშვება.

## საქართველოში

### აგრონომიული წერტი

მიმდინარე წელს სოფელ რუისპირის აგრონომიულ წერტმა საგრძნობლად გააფართოვა თავისი მუშაობა. წერტს აქვს 15 დესეტინა მიწა, რომელზედაც ითესება ხორბალი, ფეტვი, ბალახი და სიმინდი.

წერტზე მოწყობილია ორკვირიანი სანამყენო კურსები. კურსებზე დადის 20 გლეხი.

გამოწერილია დამოკლე ხანში მოელიან ტრაქტორს.

### ამხ.-ბა „აფხაზეთის მწყემსი“

სოხუმში დაარსებულ იქნა კოოპერატიული ამხანაგობა „აფხაზეთის მწყემსი“.

ამხანაგობის მიზანია მესაქონლეობის გაუმჯობესება.

### შაქარი

შაქრის ტრესტის ქუთაისის სააგენტომ მიიღო ორი ვაგონი ფხვნილი შაქარი.

ფხვნილი განაწილებულ იქნება მოსახლეობის შორის კოოპერატივების საშუალებით.

### საკლუბო მუშაობა აჭარისტანში

აჭარისტანის 6 მაზრაში გახსნილია კლუბები. სწარმოებს მასიური მუშაობა, ხმამაღალი კითხვა გაზეთებისა და წიგნების.

კლუბებს აქვთ ბიბლიოთეკები. გარდა კლუბებისა მუშაობს 18 ქოხ-სამკითხველო.

# საქართველოს ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის მერვე ყრილობა.

22 თებერვალს, ტფილისში რუსთველის თეატრში გაიხსნა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინურ კომკავშირის მერვე ყრილობა. კრება გახსნა ა. კ. კავშირის ცეკას მდივანმა ამხ. დარახველიძემ.

**ამხ. დარახველიძის სიტყვა.**

— პირველი ჩვენი სიტყვა—მიმართავს ყრილობას ამხ. დარახველიძე—დევ, იყოს ილიჩზე, რომელმაც შექმნა მესამე კომუნისტური ინტერნაციონალი. (მთელი დარბაზი ფეხზე სდგება. მუსიკა ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს).

შემდეგ მომხსენებელი ჩამოთვლის რევოლიუციის ქარ-ცეცხლში გამობრძმედილ მებრძოლებს, რომლებიც დაჰკარგა პარტიამ მე-7 ყრილობის შემდეგ. დელეგატები პატივს სცემს მათ ხსოვნას ფეხზე ადგომით.

— ლენინი გვასწავლიდა—ამბობს მომხსენებელი—რომ ჩვენ მაშინ ვიქნებით რევოლიუციონერები, თუ რომ ჩვენს მუშაობას დაუკავშირებთ მუშათა კლასის ბრძოლას. ამ გზით მივდივართ ჩვენ. ჩვენი ორგანიზაცია იზრდება, სწავლობს, მუშაობს და ამ მუშაობაში უკავშირდება მუშათა კლასს, მის ბრძოლას.

შემდეგ ამხ. დარახველიძემ მოკლე მიმოხილვა გაუკეთა მეშვიდე და მერვე ყრილობებს შუა განვლილ პერიოდს და აღნიშნა ის სიძნელენი, რომელთა გადალახვაც მოუხდა პარტიას ამ ხნის განმავლობაში.

ჩვენი კავშირი მეშვიდე ყრილობის შემდეგ გაიზარდა და გაფართოვდა. მის რიგებში დღეს 110 ათასი წევრია პიონერებთან ერთად.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ყრილობა გამონახავს მომავალ განვითარების იმ გზებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შემდგომ წინსვლას.

ამხ. დარახველიძის სიტყვის შემდეგ ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმი, სამდივნო სამანდატო კომისია, სარედაქციო კომისია და დაამტკიცა დღის წესრიგი. შემდეგ ყრილობას მიესალმენ სხვა და სხვა წარმომადგენლები. მისალმების შემდეგ ვრცელი მოხსენება საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ გააკეთა ამხ. მ. კახიანმა.

**ამხ. კახიანის მოხსენება.**

— დღეს სწარმოებს ბრძოლა ორ ქვეყანას შორის. ერთია კაპიტალისტური, მეორეა საბჭოთა, პროლეტარული დიქტატურის ქვეყანა.

რასაკვირველია, ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საბოლოო გამარჯვება წილად ხვდება პროლეტარიატს.

რა მდგომარეობაშია დღეს ევროპა? ეს მდგომარეობა რამოდენიმედ გაუმჯობესებულია, მაგრამ ჩვენი შეფასება განსხვავდება იმ შეფასებისაგან, რომელსაც მენშევიკები და მეორე ინტერნაციონალის მიმდევრები აკეთებენ.

ჩვენ ვამბობთ, რომ კაპიტალიზმი დაავადებულია სასიკვდილოდ, ის ვეღარ გამობრუნდება სასიცოცხლოდ; მენშევიკები ამბობენ, რომ ევროპა ავადაა, მაგრამ მისი მორჩენა შეიძლება და კიდეც მუშაობენ ამისთვის.

ევროპის ასეთი მდგომარეობა იწვევს მუშათა გადახრას მარცხნივ და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ინგლისის მუშათა კლასი შესდგა საბჭოთა კავშირის მუშებთან შეთანხმების გზაზე და კიდეც იბრძვის მუშათა მთლიანი ფრონტისთვის. დღეს სამი ძალა არღვევს ევროპის კაპიტალიზმს: 1) ამერიკის კაპიტალი, 2) აღმოსავლეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, 3) ჩვენი საბჭოთა კავშირის არსებობა. თვით ჩვენი არსებობის ფაქტი მოსვენებას არ აძლევს ევროპის სახელმწიფოებს. ისინი სცდილობენ ბოლო მოუღონ ჩვენს სახელმწიფოს. მაგრამ რაც დრო გადის, ჩვენი მდგომარეობა უფრო და უფრო მტკიცდება. უკანასკნელ დროს ევროპის მუშათა შორის დიდი ლტოლვაა ჩვენი კავშირისადმი. მუშათა დელეგაციები ჩვენი ქვეყნიდან დაბრუნების შემდეგ საუკეთესო აგიტატორებად და საბჭოთა კავშირის დამცველებად ხდებიან...

რაც შეეხება ლოკარნოს კონფერენციის მნიშვნელობას, კაპიტალისტები განიარაღების კომედიას თამაშობენ და აქ საბჭოთა კავშირსაც იწვევენ. ჩვენ დავესწრებით განიარაღების კონფერენციას, თუ რომ ის შვეიცარიის გარედ, სხვა ქვეყანაში იქნება მოწყობილი.

**კომკავშირის ცეკას მუშაობა.**

კომკავშირის ცეკას მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. დარახველიძე. მან დაახასიათა ცეკას მუშაობა კომკავშირის რიგებისა და მისი მუშაობის განმტკიცების საქმეში და შემდეგ გადავიდა კომკავშირის მუშაობაზე აგვისტოს ავანტიურის დროს.

**აგვისტოს ავანტიურა და კომკავშირი.**

აგვისტოს გამოსვლები ჩვენი კავშირის მომზადებისა და სახელმწიფოს სერიოზული გამოცდა იყო. კომკავშირმა საქართველოში ბრწყინვალედ ჩააბარა ეს გამოცდა. გამოსვლების წინააღმდეგ კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო და ბევრი ჩვენი სახელოვანი ამხანაგი დაიღუპა გმირულად ბრძოლაში.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ გამოსვლების დროს კავშირის ზოგიერთი ნაკლიც გამოირკვა. რასაკვირველია, ცეკამ შეისწავლა ყოველივე ეს და შესაფერისი ღონისძიებანიც გამოიმუშავა მათ გამოსასწორებლად.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა კავშირის ზრდა, შეეხო პარტიულ ხელმძღვანელობასა და კომკავშირის აქტივს და გადავიდა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაზე.

**საზოგადოებრივი და პოლიტიკური მუშაობა.**

კომკავშირი დიდ ყურადღებას აქცევდა საზოგადოებრივ და სოფლად მუშაობის საკითხებს. კომკავშირელები მონაწილეობენ გლეხკომების, კოოპერატივების, პროფესიონალურ და სხვა ორგანიზაციების მუშაობაში. სოფლის კეთილ-მოწყობის საქმეში, წითელ არმიელთა დახმარებაში და სხვ. კომკავშირელები ყოველთვის იჩენდენ დიდ თაოსნობას.

დასასრულ მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა კომკავშირის ეკონომიურ მუშაობაზე და მუშაობაზე წითელ ჯარში.

ამრიგად—დაასკვნა მომხსენებელმა—ჩვენი კავშირის ზრდა და განვითარება უდავოა. ჩვენ გადავლახეთ მთელი რიგი დაბრკოლებები და გამოვასწორეთ შეცდომები სოფლად; გავაძლიერეთ კავშირის ეკონომიური მუშაობა და გავაუმჯობესეთ კავშირის მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ნივთიერი მდგომარეობა. ჩვენ უახლოესი მონაწილეობა მივიღეთ სკოლების გადახალისებაში და სწავლების ახალი სისტემის დამყარებაში. ჩვენმა ორგანიზაციამ შემოჰკრიბა თავის გარშემო 42 ათასი კომკავშირელი და 60 ათასი პიონერი. (ტაში).

**უკანასკნელი სხდომა.**

უკანასკნელ სხდომაზე 27 თებერვალს ყრილობამ აირჩია ცეკას წევრები, კანდიდატები და დელეგატები საკავშირო ყრილობაზე.

# ბანაკად ჩვენც უნდა გავიდეთ*).

### მე-4 ლეგიონი.

ბანაკად გასვლის ამოცანა ყველამ ვიცით. საბანაკო ცხოვრება ნაწილებს ხელს უწყობს საზაფხულო დროის სამხედრო პროგრამების ცხოვრებაში მოხერხებულად და სწორად გატარების საქმეში და ამასთან ერთად ჩვენს წითელარმიელებს აჩვევს არა ყაზარმულ—მინდვრად ცხოვრებას; ორივე ეს ესაჭიროება, როგორც ძირედს, ისე ტერ-ნაწილებს ერთნაირად.

სამხედრო საქმის კარგად შეთვისების საზაფხულო პერიოდში, ყაზარმის გარეთ ცხოვრებაზე მიჩვევის და დაქსაქსულ ნაწილების წითელარმიელების შემჭ დროების მიჩნით ნაწილის ფარგლებში, აუცილებელია ჩვენი სამ თვიანი ბანაკათ გასვლა ტერნაწილების საერთო შეკრების ჩათვლით, ისე როგორც ძირედების.

**1925 წლის გამოცდილება.**

1925 წელში მუშაობამ, როგორც საერთო შეკრების წინ 1902 წელში დაბადებულებთან და აგრეთვე მუშაობამ საერთო შეკრების დროს არ მოგვცა საჭირო ნაყოფი, რასაც ხელს უწყობდა შემდეგი მდგომარეობა: პირველ შემთხვევაში ის, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა ლეგიონის თავს და სამხედრო კომისარს ყოველდღიური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა გაეწიათ წერტებზედ მომუშავე ამხანაგებისათვის, რაც აუცილებელი იყო. მეორეც ის, რომ საერთო შეკრების დრო იყო მოკლე და თვით თვეც—სექტემბერი უვარგისი, ყოვლად მიუღებელი იყო საბანაკო ცხოვრებისათვის, ამ თვეში ცუდი ამინდების გამო. ამიტომ ჩვენ 25 წ. ჩვენი ამოცანა სრულად ვერ შევასრულეთ.

სამი თვით თუ არ გავალთ ბანაკათ, მაშინ მიზანშეწონილი იქნება საერთო შეკრების წერტებზედ ჩატარება.

1925 წელში 1902 წელში დაბადებულები მეცადინეობდენ წერტებზედ საერთო შეკრებამდე, მე-9 ასეული სამეცადინო დროით შეუერთდა ახალციხის მე-8 ასეულს, მე-5 ასეული ათასეულის შტაბს და ოსეთის მე-3 ასეული—გორში პირველ ათასეულს. საერთო შეკრების დროს წერტებიდან ნაწილები დაიძვრენ და შეიკრიბენ გორში საერთო შეკრების ჩასატარებლად. საერთო შეკრებისათვის მოცემული იყო ერთი თვე. ამ დროიდან წმინდა სამეცადინო დღეები ლეგიონს შერჩა მარტო ოცი დღე, დანარჩენი დღეები კი წაართვა, როგორც მოსვლა-წასვლამ ისე ავდარიანობამ, ამიტომ ლეგიონმა თავისი ამოცანა ასი პროცენტით ვერ შეასრულა, როგორც სამხედრო ისე პოლიტ-საგანმანათლებლო დარგში. თუ ასეთი წესი განმეორდება ამ წელსაც, ამასთან ერთად უსათუოდ განმეორდება შარშანდელი დეფექტებიც და ჩვენს მიზანს ასი პროცენტით ვერ მივაღწევთ; რომ ამ წელს ავსცილდეთ ამ ნაკლს და მუშაობა ნაყოფიერი იქნეს, საჭიროა ამ საკითხზე დაფიქრება ლეგიონის სამ-თვიან ბანაკათ გაყვანაზე საერთო შეკრების ჩათვლით. ჩვენ მოგვიხდება წელში მეცადინეობა 1903 წ. დაბადებულებთან. ამ შემთხვევაში ჩვენ ზოგ წერტებზედ შენობებით უზრუნველყოფილნი არ ვართ, მაგალითად—გორი და ხაშური. ჩვენ მოგვიხდება აქ—გორში ან ადგილობრივ ხელისუფლებაზედ თხოვნა შენობის და ან ბანაკად გამსვლელ ესკადრონის შენობის დაკავება. პირველ შემთხვევაში უნდა ვსთქვათ, რომ იმდენი ლეგიონს არ აქვს, ხაშურში კი ლეგიონს მოუხდება უსათუოდ შარშანდებურად ადგ. სკოლის შენობის დაკავება, რაც გამოიწვევს უკმაყოფილებას ისე, როგორც წარსულ წელს მოხდა. რომ ყველას ამას ავსცდეთ, ამისათვის საჭიროა და ყოველმხრივ მისაღები ლეგიონის 1903 წელში დაბადებულებით საბანაკოთ გასვლა. აქ ლეგიონს ერთი სიძნელე ხვდება წინ, ეს არის პალატკების უქონლობა, მაგრამ ჩემის აზრით ეს არც იმდენ სიძნელეს წარმოადგენს და ბანაკათ გასვლით კი ჩვენს ამოცანას ასი პროცენტით შევასრულებთ.

საბანაკოთ გორში ძირედ ნაწილები მოდიან, მაშინ, როცა ლეგიონისათვის აუცილებლობას შეადგენს ბანაკათ გასვლა. ლაგერი ცხვირს წინ აქვს და მისი მოწყობა შეუძლია მას. აქ მოდიან ძირედი ნაწილები და ლეგიონი კი რჩებათავის ყაზარმებში.

გასამხედროების საქმეში ამ შემთხვევაში ტერნაწილი რჩება მეორე ხარისხოვან ნაწილად შექმნილი მდგომარეობით. მე ვამბობ ლეგიონის ბანაკათ გასვლა აუცილებელია ეს უდავოა, იმ შემთხვევაში თუ ძირედ ნაწილებთან ერთად მე-4-ხე ლეგიონს არ ექნება ალაგი საბანაკოთ, მაშინ უნდა მოხდეს მისი დაბინავება ბანაკათ ძირედ ნაწილების შემცირების ხარჯზე. ამ გვარათ მე ვამბობ, რომ ლეგიონის შემჭიდროების მიზნით, უბინობის საკითხი, შეკრების მოკლე დრო და მუშაობაში ყოველდღიური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა, სამოქალაქო ორგანიზაციების შენობების დაკავება და ამით უკმაყოფილობის აცილება, გადაჭრით თხოულობს მთელი ლეგიონის 1903 წ. დაბადებულებით და საერთო შეკრების ჩათვლით ბანაკათ გასვლას და ამით ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დეფექტების თავიდან აცილებას.

მე-4 ლეგიონი ბანაკათ უნდა გავიდეს. ამ საკითხზე სიტყვა ეკუთვნის ჩვენს დივიზიას.

ი. ნანაძე.

*) დისკუსიის სახით.

# ქვ. ჯარის ბრძოლა მტრის ჰაერო-მფრინავების წინააღმდეგ.

საჰაერო ფლოტის განვითარებასთან ერთად სამხ. ტეხნიკაში თავი იჩინა ახალმა ცდებმა, რათა მოძებნოს საშუალებები მის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

საუკეთესო საშუალება მტრის ჰაერ-მფრინავების წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ვიცით, არიან სპეციალური რაზმები ჰაერ-მფრინავების განმანადგურებლები („ისტრებიტელები“), მაგრამ ყველგან და ყოველთვის, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ეს საშუალება არა გვყავს ხელში. ამისთვის ბრძოლის მთელი სიმძიმე ჰაერ მფრინავების წინააღმდეგ აწვება არტილერიას და მძიმე ტყ.-მფრქვევებს; არტილერია თავისუფლად უმკლავდება მტრის ჰაერ-მფრინავებს. ერთი რამ უნდა შევნიშნოთ მძიმე ტყ.-მფრქვევის შესახებ; მძიმე ტყ.-მფრქვევს ჰაერ-მფრინავებთან ბრძოლაში ხელს უშლის სხვა და სხვა მიზეზები და პირობები.

ჩვენი წესდებები და ბრძოლების გამოცდილება ამის შესახებ ვერ იძლევიან სწორ ჩვენებას; ძუნწები არიან ამ ჩვენების მხრივ ჩვენი მტრებიც; მაგ. გერმანელის ფ. მერკაცის წესდება ტყვიამფრქვ. საქმის შესახებ, რომელიც გადათარგმნილია უკანასკნელ დროს, სრულებით არ აშუქებს საკითხს, მხოლოდ ფ. მერკაცის წესდების ბოლოში აღნიშნულია ყველა ის საშუალებანი, რომელნიც ჩვენ ამჟამად გვაქვს მიღებული ჰაერო-მფრინავების წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

არსებობს ორი დამბრკოლებელი მიზეზი,—ძნელი ამ პირობებთან შეგუებისათვის, რისთვისაც უსპეციალურ ხელსაწყოთ თითქმის უშედეგო და უნაყოფოა სროლა.

1-ლი ეს არის თვით მფრინავის მდგომარეობა არა მიწაზე, არამედ ჰაერის სივრცეში. ჰაერო-მფრინავს შეუძლია გამოჩნდეს ყველა კუთხის 90° ჩათვლით. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ვიცით, ტყვიის სრიალის ხაზი ანუ ტრაექტორია ინახავს თავის თვისებებს კუთხეების ამაღლების დროს მარტო 15°-დე. რაც უფრო დაქანებით ავსწევთ დაიზნების ხაზს, მით უახლოვდება ერთი მეორეს დამიზნების ხაზი და ტრაექტორია (პარალელად). კორით სარგებლობა ამ დროს სიძნელეს წარმოადგენს, არა იმისათვის, რომ ძნელია მანძილის გამორკვევა, ან სწრაფად რომ იცვლის ადგილს მიზანი, არამედ მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ კორის სიშორე, ტრაექტორიის მოხაზულობის გამოცვლის დროს, უკვე აღარ გვეთანხმება სათანადო კორის მოცემულობაზე.

მეორე მიზეზი ეს არის უძლიერესი სიჩქარე ჰაერო-მფრინავისა. რა მიმართულებითაც არ უნდა მიდიოდეს, გაუმიზნოთ და ვესროლოთ, ეს იმას ნიშნავს ვისროლოთ ცარიელ უმიზნო სივრცეში. მოვიყვანოთ ამისათვის მაგალითი: ჰაერო მფრინავი ჩვენგან დაცილებულია 1.000 ფეხის ნაბიჯზე; ტყვიის სრიალი ამ მანძილამდე ანდომებს 1,2 წამს. ჰაერო მფრინავმა 1,2 წამში გაიარა 84 მეტრი, ანუ 120 ფეხის ნაბიჯი. რომ ვიხელმძღვანელოდ იმ საშუალებებით, რომელიც არსებობს დედა-მიწის მიზნებისათვის, ეს სწორი მოხვედრისათვის იქნებოდა ძნელი და შეუძლებელი, მაგრამ რომ შემოუაროდ ამ სიძნელეს, არსებობს სამი საშუალება.

1) სროლაზედ მიყოლითი, გაცილებით, 2) კოძლიანი ვაზნები მისასროლად და 3) წინ დახვედრით. პირველ საშვალებით დამიზნების წერტილად უნდა ავიღოთ ჰაერო-მფრინავი; ამისათვის ცოტათ თუ ბევრად მიზნის მოძრაობის გამო იცვლება დამიზნების ხაზი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ საშვალებამ თითქმის დაკარგა მნიშვნელობა; ეს საშვალება იყო გამოსადეგი მაშინ, როდესაც ჰაერო-მფრინავი ერთ წამში გაივლიდა 5-10 საჟენამდე მანძილს (1911 წ.) ეხლა კი (1926 წ.) საშვალოდ ჰაერო-მფრინავის სიჩქარე 1 წუთში უდრის 84 მეტრს, ანუ 120 ნაბიჯს. შეიძლება სროლა, მიზნად არ ავიღოთ ჰაერო-მფრინავი, არამედ ავტომატიური სროლით დაუხვედროთ წინ. კარგს შედეგს სროლისა შეიძლება მაშინ მივაღწიოთ, თუ კი სროლისათვის იქნება ხელსაწყობები დასამიზნებელი მოწყობილობა, რის საშვალებით შესაძლებელი იქნებოდა გამოანგარიშება: 1) მანძილი ჰაერო-მფრინავამდის, 2) სიმაღლე მისი, 3) მიმართულება და 4) სიჩქარე მისი მოძრაობისა.

(შემდეგი იქნება).

ილ. რაზმაძე.

# ჩვენს ტერ-ნაწილებში.

## როგორ ჩატარდა ჩვენთან მოკლევადიანი პირველი ტერ-შეკრება.

(მე-6-ხე ლეგ. მე-3-მე ასეული)

მოკლევადიანი, ტერშეკრების ჩასატარებლად წინასწარი მზადება ჩვენი ნაწილის შემადგენლობამ დაიწყო ცვალებადშემადგენლობის წითელ-არმიელთა ხელ-ახალი მიწერის დასრულების შემდეგ. ასეულის საცხოვრებელი ყაზარმა იქნა ხელ-ახლა შეთეთრებული, და მორთული პლაკატებით, ლოზუნგებით და რევოლიუციის ბელადების სურათებით, რომლებიც გამოგვიგზავნა ლეგიონის კლუბის გამგეობამ. შეკრების წინ, რამოდენიმე დღით ადრე თემის რწმუნებულებს, მიეცათ სათანადო დირექტივები, თუ როგორ უნდა შეეგროვებინათ თემებში ცვალებადელები და მოეყვანათ ასეულში. 24 თებერვლის ნაშუადღევის 5 საათიდან დაშორებული თემებიდან, როგორიც არის მუხრანის და მჭადის ჯვარის, დაიწყო დენა ცვალებადელთა მწყობრად დაწყობილმა ოცეულებმა. ყველას უხაროდა წითელ ყაზარმაში მოსვლა, რადგან ბევრი მათ შორის უკვე ნამსახური წით. არმიელები სხვა და სხვა ძირითად ნაწილებში, განსაკუთრებით კი 1-ლი ქართ. ლეგიონში და ცალკე საკავშირო ასეულში. იქ არიან 1901 და 1902 წ. დაბადებულნი ახალგაზრდობაც, რომელმაც გასულ წელს გაიარეს ჩვენთან ტერ-შეკრება.



მე-6-ხე ლეგ. მე-3-მე ასეულის ცვალ. ერთ-დღიანი შეკრებაზე 25 თებერვალს.

ასეულმა საკმაოდ კარგი ბინა მისცა ამხანაგებს ღამის გასათევად 25 თებერვალს დილის 8 საათისათვის მთელი შემადგენლობა უკვე წითელ ყაზარმაში იყო თავმოყრილი. თვითეულ თემებიდან მწყობრად და სიმღერით, თემრწმუნებულების ხელმძღვანელობით გამოცხადდენ ჩვენი ცვალებადელები. ამოკითხვის შემდეგ, რის დროსაც გამოირკვა, რომ მთელი შემადგენლობა იყო გამოცხადებული, ჩატარებულ იქნა პოლიტ-საათი შემდეგ თემაზე: მოკლე ვადიანი შეკრების მნიშვნელობა და 2). საქართველოს ,გასაბჭოების 5 წლის თავის და წითელი არმიის 8 წლის თავის შესახებ, რის შემდეგაც ჩვენმა ცვალებადელებმა მიიღეს მონაწილეობა წყობილებით დემონსტრაციაზე, რომელიც გაიმართა ქალაქში აღნიშნული დღესასწაულების აღსანიშნავად. მიტინგზე წარმოთქმული იქნა სიტყვები საქ. გასაბჭოების 5 წლის თავის შესახებ სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ. განსაკუთრებით საინტერესო იყო ცვალებადელ წით. არმ. ამხ. კიზირიას სიტყვა, რომელმაც ცვალებადელთა სახელით ფიცი დასდო, რომ პირველი დაძახებისთანავე მზად იქნებიან საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

მიტინგის დასრულების შემდეგ გადაღებულ იქნა სურათი.

თემ. რწმუნებულებს მიეცათ დირექტივები მომავალი მუშაობისათვის თემებში და საღამოს 5 საათზე გაშვებულ იქნენ თავთავიანთ სახლებში, რადგან თვითეულ თემში მიდიოდა საზეიმო სხდომები—წარმოდგენით, სადაც ჩვენი ცვალებადელები ღებულობდენ მხურვალე მონაწილეობას.

ამავე დღეს შესდგა ცვალებად პარტ-შემადგენლობის საერთო კრება ასეულის კომ-უჯრედის წევრებთან ერთად, სადაც თვითეულ ცვალებად პარტ-ამხანაგს მიეცა განსაკუთრებული დავალება თავიანთ თემებში და სოფლებში მუშაობისათვის.

ამხანაგებმა სურვილი გამოსთქვეს გაზ. „წითელი არმიელის“ გამოწერის და მისი გავრცელებაზე სოფლის გლეხობაში, რასაც იმედია ჩვენი ცვალებადელები გაამართლებენ. დასასრულ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ მოკლე ვადიანი შეკრებები მტკიცე საფუძველს ჩაუყრიან ტერიტორიალური აღმშენებლობის განმტკიცების საქმეს.

ნ. ახათიანი.

## მოკლე ვადიანი ტერშეკრება გურჯაანის წერტზე.

წერტზე მდგარ ასეულმა 14 თებერვალს მიიყვანა გურჯაანის რაიონის ცვალებადელები აღრიცხვაზე. აღრიცხული იქნენ 1899, 1900, 1901 და 1902 დაბადებული ახალგაზრდები, სულ 192 კაცამდე. ამხანაგებს გაეცნოთ წინასწარ თუ როდის უნდა მომხდარიყო პირველი მოკლე ვადიანი შეკრება.

25 თებერვლისათვის ყველამ მოიყარეს თავი დანიშნულ ადგილზე. გავარონიეთ სამხედრო საქმის ყველა პირველი აუცილებელი საგნები. გაეცნენ ასეულის უფ-პოლიტშემადგენლობას, რის შემდეგაც კლუბის დარბაზში გაიმართა საერთო კრება. გაკეთებული იქნა მოხსენებები დღესასწაულების მნიშვნელობაზე და გაირჩა სხვა გადაუდებელი საკითხები მეორე და მესამე შეკრების გარშემო.

ყველა ცვალებადელებმა ერთხმად დასდვეს ფიცი, რომ კარგათ შეისწავლიან სამხედრო და პოლიტიკურ საქმეს და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

მეთაური ჩიქოვანი.

## ჩვენც შევუდექით მოკლე ვადიან ტერ-შეკრებას.

2-ე მესანგრე ასეული.

25 თებერვალს საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლის თავზე ჩვენს ნაწილში შეიკრიბნენ ყველა ჩვენზე მოწერილი ცვალებადი წითელ არმიელები, რომლებიც ძირედ შემადგენლობის წ. არმიელებთან ერთად გაემგზავრენ აღლუმზე, რის შემდეგ მეორე საკავშირო ასეულის ცვალებადელებთან ერთად შესდგა საერთო კრება.

მოხსენებით გამოვიდა საკავშირო ასეულის მეთაური ამხ. ებანოიძე, რომელმაც გააცნო კრებას ტერ-შეკრების მნიშვნელობა, მისი ამოცანები და აგრეთვე ის, თუ რა სარგებლობა მოაქვს ტერ-სისტემას.

მომხსენებელმა გააცნო ამხანაგებს აგრეთვე ცვალებად წითელ არმიელების სამხედრო ბეგრის მოხდის პირობები.

მოხსენება გადათარგმნილი იქნა რუსულადაც.

ცვალებადელები დიდი ყურადღებით ისმენდენ მოხსენებას. მისცეს მრავალი შეკითხვები. დასასრულ მოხდა ცვალებად პარტიულებისა და ახკომკავშირელების გაერთიანებული კრება, რომელზედაც არჩეული იქნა ბიურო.

გაკეთებული იქნა მოხსენება აგრეთვე რწმუნებულთა არჩევის შესახებ. დაწვრილებით გაეცნო ამხანაგებს, თუ რა ევალებათ რწმუნებულებს.

გამოყოფილი იქნენ ასეთები ყველა რაიონებიდან, კრების დასრულების წინ ცვალებადელებს მიეცათ ნაკაზი მომავალი მუშაობის შესახებ.

სამხკორი სანდროშვილი.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## როგორ მიმდინარეობს გასამხედროება.

მეთაურთა სკოლა.

ჩვენს სკოლაში უკვე რამოდენიმე თვეა რაც დაწყებული იქნა სამხედრო მეცადინეობა პოლიტ-მასწავლებლებთან, რაიც წარმატებით მიმდინარეობს. სკოლის უფროსი დიდ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს. დანიშნულია ერთი მეთაური, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს ამ საქმეს.

პოლიტ-შემადგენლობა გულმოდგინეთ ეკიდება მეცადინეობას. შედეგები დიდია ამ თავითვე. მეცადინეობისათვის დანიშნულია ცალკე დღეები. ბევრი უკვე შეიქნა საუკეთესო მსროლელი. მთელ მასწავლებლობაში, არაჩვეულებრივი მსროლელი აღმოჩნდა ამხ. რამნიშვილი.

თოფები კარგა ხანია მიღებული აქვთ და შესაფერად უვლიან.

მალე ჩვენი პოლიტშემადგენლობაც საუკეთესოდ დახელოვნდება სამხედრო საქმეში.

კურსანტი სახუაძე.

## ფიზკულტურა ჩვენს ნაწილებში.

2-რე ლეგიონი.

აგერ ორი კვირაა მას შემდეგ, რაც ლეგიონში დაარსებული იქნა ფიზკულტურის წრე, რომელშიდაც ჩაწერილი არიან, როგორც უფ-პოლიტშემადგენლობა, ისე წითელ არმიელები. მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურად და დიდი ინტერესიდაც. წრეს ხელმძღვანელობს გამოცდილი მეთაური ამხ. რონიშვილი.

საჭიროა წრე გამოყოფდეს ასეულებში თავის ბირთვებს და მეცადინეობას ამ ნაირად მიეცეს უფრო მასიური ხასიათი. ფართოდ უნდა გაეცნოს წითელ არმიელებს თუ რა მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ კულტურას ადამიანის ჯანმრთელობისათვის და რა დანიშნულება აქვს მას კერძოთ წითელი ჯარის ცხოვრებაში. ამ გზით წრე უფრო გაანაყოფიერებს თავის მუშაობას და დიდ შედეგებსაც მოგვცემს.

სამხკორი ე. ბერუაშვილი.

## ჩვენი ბიბლიოთეკის ცხოვრება.

(1-ლი ქართ. მსრ. ლეგიონი).

ჩვენი ბიბლიოთეკა, რაც რომ ბანაკობიდან დაბრუნდა, საუცხოვოთ მოეწყო; გაცხოველდა მუშაობა 1903 წ. დაბ. შესახვედრად. ბიბლიოთეკას დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი ლეგიონის უფროსები და სამნეო ნაწილის უფროსი სხვა და სხვა საქმეების მოწესრიგებაში.

დღემდის ჩვენი ბიბლიოთეკა დიდ სივიწროვეს განიცდიდა სხვა და სხვა აუცილებელ ლიტერატურის უქონლობით, რაც საგრძნობლად მოქმედებდა მის კულტურულ პოლიტიკურ მუშაობაზე. ყველა ასეთ ნაკლის გამოსასწორებლად, რომელიც ნათლად და გარკვევით აღნიშნა ჩვენი დივიზიის V პარტკონფერენციამ, გადადგმულია ნაწილის მიერ ჯეროვანი ნაბიჯი.

ჩვენს ბიბლიოთეკის სხვა მუშაობებთან საგულისხმოა ასეულების კუთხეების ბიბლიოთეკარების საბიბლიოთეკო მეცადინეობა, რაც კვირაში ორხელ ეწყობა ბიბგამგის მეთაურობით.

ასეულების ბიბლიოთეკარები სწავლობენ პრაქტიკულად ჩვენს ბიბლიოთეკაში და ეცნობიან მით საბიბლიოთეკო მუშაობას. ბიბგამგის მხრივ დიდი ენერგია მიმართულია მათი მუშაობის უფრო გაღრმავებისაკენ.

ვუსურვებთ მომავალში ჩვენს პრაქტიკანტებს უფრო მეტ ენერგიულ მუშაობას.

სამხკორი ა. დეისაძე.

## ჩვენი საქმიანობიდან.

3-მე ლეგიონი.

როგორც ყველგან, პოლიტსაათი ჩვენთანაც ტარდება კომპლექსური მეთოდით. ლეგიონის წითელ არმიელთა მთელი შემადგენლობა დაყოფილია 50 ჯგუფად, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ოც. მეთაურები და ათასეულის თავები.

მეცადინეობაში საერთოდ მრავალი დაბრკოლებები გვეღობება წინ, როგორც მაგალითად ტექნიკური მოუწყობლობა, მაგრამ თანდათანობით ექცევა ყურადღება მათ გამოსწორებასაც.

ამ დღეებში შევიძინეთ დაფებს. საჭიროა მიიღებენ ზომებს სხვა სამოსწავლო იარაღების შეძენისათვის რაც შეიძლება დაჩქარებით.

საინსტრუქტორო კომისიის მუშაობა.

ყოველ შაბათობით იკრიბებიან ჯგუფების ხელმძღვანელები დამზადებულ კონსპექტებით. აქ ხდება საერთო აზრთა გაცვლა-გამოცვლა და სათანადო შესწორების შემდეგ კონსპექტი გადაეცემა ჯგუფებში, წითელ არმიელები უკლებლივ ესწრებიან მეცადინეობას.

ამ მეცადინეობას უშუალოდ ხელმძღვანელობს სასკოლო კაბინეტი, რომელიც შეძლების დაგვარად აწვდის ჯგუფებს ლიტერატურას და სხვა მასალებს. ჯგუფის საინსტრუქტორო კომისიასა და ჯგუფების ხელმძღვანელთა კაბინეტს ცოცხალი კავშირი აქვს დაჭერილი. ხდება ადგილობრივ ნაკლოვანებებზე მითითება მათი სასწრაფოდ გამოსწორების მიზნით.

წერა კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუშაობა.

მუშაობის მთელი ცენტრი ლეგიონში გადატანილია წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობისაკენ. ამ ჟამად ლეგიონში ითვლება 218 უცოდინარი, რომლებთანაც ენერგიული მეცადინეობა სწარმოებს.

კარგად არის დაყენებული ლეგიონში აგრეთვე ლენინის კუთხეები, სადაც დიდი გულმოდგინეობით მუშაობენ მეთაურები და პოლიტმომუშავენი. ისინი ხშირათ თავის საკუთარი ფულით იძენენ კუთხეების მოსაწყობათ სხვა და სხვა ნივთებს.

სამხკორი გოგიტიშვილი.

## არც ჩვენ ჩამოვრჩებით სხვებს.

მე-4 ლეგიონის 8-ვე ასეული.

ასეულში კარგა ხანია რაც მოვაწყვეთ სამხედრო კუთხე. პირველ ხანებში არ გვქონდა შესაფერი იარაღები კუთხისთვის, რის შესახებაც მიღებული იქნა საჭირო ზომები და შეძლებისდაგვარად შევიძინეთ სხვა და სხვა იარაღები.

კუთხით ვაინტერესებთ ადგილობრივ მცხოვრებლებს. 21 თებერვალს ადგილობრივ კომკავშირის კლუბში მოწყობილი იქნა დაშლილი თოფის ნაწილების ელექტრონით ძებნა, რამაც არა თუ კომკავშირელები, არამედ ადგილობრივი მოხუცი გლეხებიც ძლიერ დააინტერესა.

ამის შემდეგ ყოველ საღამოობით სწარმოებს კუთხეში მეცადინეობა, გლეხობის გასამხედროების მიზნით.

ის ინტერესი, რომელიც ჩვენმა მუშაობამ გამოიწვია გლეხებში აუცილებელი საწინდარია იმის, რომ ამ საქმეს წარმატებით გავატარებთ მოსახლეობის შორის.

სამხკორი კალმის წვერი.

**წერილის ავტორებო! მეცადინეობა უკვე დაწყებულია. დაიჭირეთ კავშირი თქვენს გაზეთთან და მოგვაწოდეთ კორესპონდენციები თქვენი ყოფა-ცხოვრებიდან.**

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

## ᲓᲐᲕᲘᲬᲧᲝᲗ ᲒᲔᲒᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

მეთაურთა სკოლა.

26 თებერვალს სკოლის კომ-უჯრედში ფრიად სერიოზული საკითხი ირჩეოდა.

ცნობილია, რომ კურსანტებს მუშაობით, მეცადინეობით დიდი დატვირთვა ეტყობათ და დროს სიმცირის გამო კურსანტების პოლიტიკური მომზადების დონე ვერაა სათანადო სიმაღლეზე. ამ ნაკლის გამოსასწორებლად შესაფერი დროის და საშუალებების გამონახვა მინდობილი აქვს სპეციალურ კომისიას, რომელიც პარტიული მასის წინაშე სვამს საკითხს: რა საშუალებების გამონახვა შეიძლება იმისათვის, რომ საერთოდ კურსანტთა მასის პოლიტ-მომზადების დონე უფრო მაღალი იყოს?

ცნობილი იქმნა, რომ: 1) კურსანტებს სკოლის გარეშე და პოლიტიკური მეცადინეობისათვის მეტად მცირე დრო რჩებათ.

2) სამხედრო და ტანთ—ვარჯიშობას გაცილებით მეტი დრო აქვს დათმობილი ვიდრე პოლიტ-ცოდნას და პარტიულ მუშაობას.

3) მუშაობის ლაბორატორიული მეთოდი კურსანტებს დიდ დროსართმევს.

4) პოლიტიკური და სამხედრო საგნების მასწავლებლები უნდა სცდილობდენ—კურსანტს მუშაობა გაუადვილონ.

5) თვით კურსანტებიც შესამჩნევად მოისუსტებენ დროს გამოყენებისა და შრომის ორგანიზაციაში.

6) ამ მხრივ კურსანტებს, როგორც ყველა მასწავლებელი, ისე კლუბი და ბიბლიოთეკა უნდა ეხმარებოდეს.

7) დავალებები კურსანტებს, განსაკუთრებით პარტიულ ამხანაგებს, მეტად ბევრი აქვთ. აუცილებელია განტვირთვა. აღნიშნული საკითხი მეტად სერიოზულია და მისი დადებითად გადაჭრა მხოლოდ ყველა ნაკლულევანებათა აღმოფხვრით და სკოლის მთელი მასწავლებელთა და უფ-პოლიტ-შემადგენლობის გააქტივებით, საქმისადმი დაკვირვებული მიდგომით შეიძლება.

კრება შეეხო ამხანაგთა მიმაგრების საკითხსაც და აღნიშნა, რომ აუცილებელია —მიმაგრებულებმა—მიმაგრებულ ადგილზე მუშაობას მეტი ყურადღება მიაქციონ, განსაკუთრებით მას, რაც იქ ახალი ხდება და რასაც ორგანიზაციულ მუშაობისათვის დადებითი მნიშვნელობა აქვს.

დაბოლოს გამოითქვა აზრი, რათა კომისიის მიერ შესწავლილი იქმნეს, როგორც კურსანტის სამუშაო დღის დახარჯვა-გამოყენება, აგრეთვე სხვა სამხედრო სკოლებში წარმოებული პოლიტ-ცოდნისა და პარტიულ მუშაობის წესი და საკონტროლო აღრიცხვა.

სამხკორი ჩვენი.

---

**ᲐᲛᲮ. ᲐᲛᲮ. ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲝ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲔᲗ, ᲓᲐ ᲒᲐᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲘ“**

---

# ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲐᲚᲨᲘ

რესტორანი „იალტა“. ცალკე ოთახი. საერთო დარბაზი, სადაც გრიალებს მუსიკა და ცეკვავენ „ვალსს“.

ბურუსით მოცული მოწყენილობა და სევდა უნებლიეთ იპყრობს ადამიანს ქუთაისში წვიმიან დღეს. ყველანი თავისებურად ცდილობს ზამთრის გრძელ და წყვდიად ღამეების გატარებას. ერთ-ერთ ასეთ ღამეს წითელი მეთაური ძამაშვილი თავისი კომპანიით მიდის საქეიფოდ. ხუთნი იყვნენ, მაგიდაზე ხუთი ბოთლი ღვინო უდგიათ, სრულიად ჩვეულებრივი პორცია.

რამოდენიმე ხნის შემდეგ სიცილ-ხარხარით რესტორანში შემოდის მეორე ჯგუფი, ორი ვაჟი სამხედრო პირები და ორი ქალი. ესენი არიან ტიხონოვი და ილენკო. კომპანია იკავებს ცალკე კაბინეტს. ძამაშვილი იჩენს ძველ ოფიცრულ „ჯინტლმენობას“ და შედის მათ კაბინეტში, ავსებს ჭიქას და დიდის პათოსით აცხადებს:

„მე ვსვამ არტილერისტების სადღეგრძელოს“.

გადაჰკრავენ. ჩვენი რაინდი „სხვათა შორის“ გადახედავს ქალებს და გადასწყვეტს ბოლომდის დაავგვირგვინოს „ჯინტლმენის“ როლის შესრულება.

„მე ვსვამ „დამების“ სადღეგრძელოს.

შემდეგ, შემდეგ კი მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და რაც უნდა ექნა ძველ ოფიცრის მანერების ღირსეულ თანამიმდევარს.

იწვევს „დამებს“ ვალსის საცეკვაოდ. იცეკვეს, ითამაშეს, თავი დაუბრუვდათ. ერთ „დამას“ დაუწყო ხვევნა-კოცნა. მაგრამ ლებულობს კატეგორიულ წინადადებას დაუყონებლივ „გაბრძანდეს“. როგორ, როგორ შეიძლება სადღეგრძელო დალია და ეხლა კი „მიაბრძანებენ“. მაგრამ მაინც „მიაბრძანეს“. მეორეთ შემოვიდა. ხელახლა სთხოვეს გასულიყო.

„არ გავალ“, იყო მისი პასუხი.

ტიხონოვმა გადასწყვიტა არ ჩამორჩენოდა ძამაშვილს რაინდობაში და დამების შეურაცხყოფის მიყენებისათვის მიიღო ზომები, რომ გასულიყვნენ.

უფრო გაჯავრდა ძამაშვილი, დასახმარებლად მოვიდა ხომეზური.

ტიხონოვი კიდევ ერთხელ: „თქვენ გეუბნებიან რუსულად“. ძამაშვილი უპასუხებს: „მე კი მოგელაპარაკებით კავკასიურად“. გავარდა რევოლვერი და ნაგანის ოთხმა ტყვიამ გაუგმირა გული ტიხონოვს. ილენკომ სცადა გაქცევა, მაგრამ ძამაშვილმა კიდევ არ დაამთავრა „ლაპარაკი“ და მასაც გაუმასპინძლდა ჯერ ორით და შემდეგ მესამე ტყვიით.

შემდეგ „ნაგანი“ რიონში გადაისროლეს. ძამაშვილმა კი ნაწილის უფროსს განუცხადა, რომ მას სრულიად არ გაუსვრია, რადგან იარაღიც არ ჰქონდა, იტყუა როგორც მკვლელმა, როგორც ბოროტმომქმედმა.

ამ ჯოჯოხეთურ სურათს უცქეროდა ხომეზური და თითის ჩვენებით ათამამებდა ჩახმახ მომარჯვებულ ძამაშვილს.

ეს ამბავი მოხდა იანვარში. თებერვალში კი რამოდენიმე დღის უკან ქართულ დივიზიების სამხედრო ტრიბუნალმა განიხილა საქმე და მიუსაჯა ძამაშვილს შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, ხომეზურს კი ორი წლით.

სამმა დღემ, როდესაც საქმე ირჩეოდა, აახმაურა და აალაპარაკა მთელი ქუთაისი. საზოგადოება საათობით იდგა სხდომის დარბაზის კარებთან. მაგრამ მკვლელი და მისი დამქაში არავის შეუცოდებია. პირიქით ფიქრობდენ, რომ დახვრეტას მიუსჯიდნენ.

მაინც როგორ სურათს არ წამოატივტივებს ხანდისხან დუხჭირი ცხოვრება—საშუალო საუკუნოების რაინდობის განსახიერება წითელ მეთაურებში. მაგრამ ჩვენთვის კარგია. ძამაშვილი და ხომეზური მხოლოდ ორია. მეტი არ არის და არც იქნება.

ა. ლიუბიმოვი

# ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ?

ვიწერ გაზ. „წითელ არმიელ“-ს 3 თვით ოზურგეთის მაზრის შუხუთის თემის სამკითხველოსათვის და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1. სამსონ იმნაიშვილს, 2. ერემია იმნაიშვილს, 3. გიორგი კვირკველიას, 4. კოოპერატორ—გიორგი იმნაიშვილს და 5. ავთანდილ წილოსანს.

მეთ. შალიკო იმნაიშვილი.

—

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ სამი თვით ზუგდიდის საავშვო სახლისათვის და ვიწვევ მოქ. კოლია ჩხეიძეს, გამოუწეროს ასეთი ზუგდიდის სახალხო სახლს.

წვევამდელი გაბრ. თოდუა.

# ᲐᲛᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ახალქალაქის აღმასკომმა გადასცა დახმარების სახით მეფუტკრეთა ამხანაგობა „მეგუს“ 500 მანეთი.

**წერა-კითხვის სწავლება.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა დააჩქაროს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში მოსწავლეთა გამოშვება.

**რაჭის აღმასკომმა** დაადგინა გაგზავნოს კომისია სოფ. ნაკიეთისა და უწერის გლეხების შუამდგომლობის განსახილველად სათემო ცენტრის ახალ ადგილზე გადატანის საკითხის გამოსარკვევათ.

**ზუგდიდის** აღმასკომმა დაადგინა გადასცეს მუზეუმს ხობის მონასტერთან მდებარე 7 ნახევარი ქცევა ბაღი, თუ იგი გლეხებს არა აქვთ დამუშავებული.

**კრამიტის ქარხანა.** შემოქმედის (გურია) თემაღმასკომმა გახსნა კრამიტის ქარხანა სოფ. წითელმთაში.

# ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

— მეორე დივ. პოლიტგანყოფილებამ შეიმუშავა გეგმები მე-14 პარტყრილობის რეზოლიუციების შესასწავლათ ჯარის ნაწილებში.

— **დროებითი ბრძოლის წესდება.** დაიბეჭდა და გამოვიდა სამხ.-სარედაქციო კომისიის გამოცემა „დროებითი ბრძოლის წესდება“.

— **შაქარი.** ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ამ დღეებში მიიღებს 60 ვაგონ შაქარს.

— **შრომის კომისარიატმა** დაადგინა მოაწყოს სვანეთში საზოგადო სამუშაოები, სადაც იმუშავებს ღარიბი სვანი გლეხობა.

— **ტერიტორიალურ სამმართველოსთან** არსებულ სამობილიზაციო კომისიაში შრომის კომისარიატმა დანიშნა თავის წარმომადგენელი.

# ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲖᲔ.

**ბ. ხონელიძეს.** ვინაიდან თქვენ მუდმივ სადგომ ბინაზე გიწარმოებიათ მეცადინეობა წვევამდელებთან, ამიტომ არ გეკუთვნით საათების ფული.

**საგინაშვილს.** ცოლშვილიან ზედმეტ მსახურ უმცროს მეთაურს შეუძლია კერძო ბინაზე ცხოვრება თავის უფროსის ნებართვით.

**გორელს.** არ შეგიძლიათ.

**გძელიძეს.** მიმართედ თქვენს ლეგიონს და ის გამ[...] გაგზავნით საგარნიზონო კომისიაში.

**წურწუმიას.** ტანსაცმელით დაკმაყოფილებული უნ[...] იქნეთ. თუ ამდენ ხანს რატომ არ მიიღეთ, ამის შესახებ მ[...] მართედ მე 5 ლეგ. სამნეო ნაწილს.

**ა. ფ—იას.** მიმართედ ლეგ. შტაბის უფროსს.

**მიდელაშვილს.** სამხ. ბეკრის მოხდის დროს შეუძ[...] ბელია სხვა რაიმე შრომით იყოთ დატვირთული.

**შაზოშვილს.** ადგილობრივ აღმასკომიდან უნდა წარმ[...] ადგინოთ სათანადო საბუთი, რომ ნამდვილათ გესაჭიროებ[...] შეღავათი და შემდეგ მიმართეთ თქვენს უშუალო უფრო[...]

**რ—ქ.** მიმართედ თქვენს სამნეო ნაწილის უფროსს გა[...] მარტებისთვის.

**ჯავახელს.** ამ წის გარშემო ატეხილ დავას სწყვეტს მიწ[...] კომისია მიმართედ თქვენი თემის კომისიას.

**ხეივ ნს.** დროებით საშუალო მეთაურის მოვალეობის ასრულებისათვის, უმცროსი მეთაური არ სარგებლობს მი[...] უფლებით.

**პარტიულს.** სამწყობრო მეცადინეობიდან არ თავისუფ[...] ლდებით.

**ყვირილელს.** გაქვთ უფლება.

**ვ. დ—იას.** შეგიძლიათ პარტსკოლაში შესვლა. აღძარი[...] შუამდგომლობა უფროსის წინაშე, რომ შემოდგომაზე გაგ[...] გზავნონ სკოლაში.

**შრაპნელს.** თუ 6 თვე არ გიმსახურიათ, ისე ვალდებუ[...] ლი ხართ ტანსაცმელი ჩააბაროთ ნაწილს.

# ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ Ს[...] ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ.

**ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐ.**

**ხეთის** თემის საბჭოში აირჩიეს 63 წარმომადგენელი. აქედან 5 კომუნისტია, 3 კანდიდატი და 3 კომკავშირელი.

**ახალ ეწერის** თემის საბჭოში აირჩიეს 12 დეპუტატი. მათში 2 კომუნისტია და ერთი კანდიდატი.

**ხორგის** თემში აირჩიეს თემსაბჭო 22 კაცის შემადგენლობით. საბჭოში გავიდა 1 კომუნისტი, 3 კანდიდატი და 3 კომკავშირელი.

**შუახორგის** თემსაბჭოში აირჩიეს 16 დეპუტატი. მათში 2 კომუნისტია და 2 კომკავშირელი.

**ნაფიჩხოვს** თემსაბჭოში აირჩიეს 24 წარმომადგენელი. აქედან 5 კომუნისტია, 2 კანდიდატი და 1 კომკავშირელი.

**საჯიჯაოს** თემში საბჭო აირჩიეს 30 კაცის შემადგენლობით. მათში 2 ქალია, 3 კ. პ. კანდიდატი და 5 კომკავშირელი.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის მიერ მიღებულ უკანასკნელ დეპეშების თანახმად არჩევნები დასრულდა შემდეგ თემებში.

**მუხურის** თემსაბჭოში აი[რ]ჩიეს 37 წევრი. მათში 5 კ[ო]მუნისტია, 2 კანდიდატი და [...] ახკომკავშირელი.

**ჭკადუაშის** თემში აირჩი[ეს] 21 წარმომადგენელი. მათ[ში] ერთი კომუნისტია და ერ[თი] კომკავშირელი.

**ზუგდიდის** საბჭოში [...] 27 დეპუტატი. მათში [...] კ. პ. კანდიდატია და 3 კო[მ]კავშირელი.

**ახუთის** თემში აირჩიეს [...] დეპუტატი. მათში 3 კომუნი[ს]ტია და 5 კომკავშირელი.

**ᲒᲣᲠᲘᲐ.**

**ლიხაურის** თემსაბჭოში აი[რ]ჩიეს 41 წარმომადგენელი. მა[თ]ში 8 კომუნისტია, 6 კანდ[ი]დატი და 1 კომკავშირელი.

**ხიდისთავის** თემსაბჭოში ა[ი]რჩიეს 63 დეპუტატი. მათ[ში] 27 კომუნისტია, 12 კ. პ. კა[ნ]დიდატი და 2 კომკავშირელ[ი].

**ჩოხატაურის** სათემო სა[ბ]ჭოში აირჩიეს 67 დეპუტა[ტი]. მათში 25 კომუნისტია, 18 კა[ნ]დიდატი და 6 კომკავშირელ[ი].

**ნაგომარის საბჭოში** აი[რ]ჩიეს 12 დეპუტატი. აქედან [...] კომუნისტია, 1 კანდიდატი [და] 1 კომკავშირელი.

# ᲕᲘᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝ?

მე 6-ე ლეგიონის მე-3-მე ასეულის კომ-უჯრედში შ[...] მოტანილი აქვს განცხადება პარტიაში კანდიდატათ მიღებ[ის] შესახებ ჯარის გარეშე მომზადების ინსტრუქტორს მიხეი[ლ] ივანეს-ძე აბაზაძეს, (ყოფილი ოფიცერი. თელავის მაზრის მც[ხოვრები]. სხვა პარტიაში როგორც თვითონ აცხადებს ა[რ] ყოფილა).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს მისი პარტია[ში] მიღების შესახებ გთხოვთ გვაცნობოთ 7 დღის განმავლობა[ში] შემდეგი მისამართით: ქ. დუშეთი მე-3-მე ასეულის კომ[-]უჯრედის მდივანს.

1-ლ ქარ. მსრ. ლეგიონის მე-3 ასეულის კომკავშირი[ს] ჯგუფში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტიაში გად[ა]სარიცხავად შემდეგ ამხანაგებს: 1. სამსონ მურვანიძეს (კომ[]კავშირელი), 2. ვასილ ურთმელიძეს (კომკავშირელი) 3. ვ[...] ზაგური ისაკის (კომკავშირელი) და 4. ელბაქიძე კონსტან[]ტინეს (კომკავშირელი).

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო აქვს ზემო ა[...] ამხანაგებზე, გთხოვთ გვაცნობოთ 1-ლ ლეგიონის მე-3 ას[ეუ]ლის კომკავშირის ჯგუფში.

ორგანიზატორი სიდამონიძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი მ. ხიმონგულოვი